ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41. 41223282**

თარიღი:**24/11/2022**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 8 ნოემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-40223129 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-412231214-41) - ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სენაკში, ი. სანაიას ქუჩაზე მდებარე 66 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 44.01.24.230) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17-ე დადგენილების 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეწყვეტილ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 8 ნოემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-40223129 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-412231214-41) - ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სენაკში, ი. სანაიას ქუჩაზე მდებარე 66 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 44.01.24.230) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ - ბადრი ძაგანიას.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE